ხაშურის მოამბე

№41(365) 8 ნოემბერი, სამშაბათი, 2022 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

3 ნოემბერს,გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

სხდომის დღის წესრიგით სამი საკითხი იყო გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ცვლილებებს „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრბულოს 2021 წლის 14 დეკემბრის 16 დადგენილებაში,2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმაში, რომელთა შესახებ მოხსენებით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი ლელა მაჭარაშვილი გამოვიდა.

მოისმინეს და დადებითად შეაფასეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2022 წელს 10 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში, რომელიც სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ცერცვაძემ წარმოადგინა.

საკრებულომ მოისმინა ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორის თამაზ ლაცაბიძის ინფორმაცია სამუზეუმო გაერთიანებაში არსებული მდგომარეობის შესახებ. მომხსენებლმა ისაუბრა მუზეუმის წინაშე არსებულ გამოწვევებზე,უპასუხა საკრებულოს წევრთა შეკითხვებს.

მიხეილ შაყულაშვილმა საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გამართა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გამართა. სხდომას რწმუნებულის მოადგილეები, შიდა ქართლის რეგიონში შემავალი ოთხივე მუნიციპალიტეტის მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები დაესწრნენ. რეგიონის პირველმა პირებმა 2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობა განიხილეს. გარდა ამისა, განიხილეს მიმდინარე წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობაც. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ის პროექტები, რომლებიც ამჟამად რეგიონში მიმდინარეობს, წლის ბოლოსთვის დასრულდება.

შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭო 3 თვეში ერთხელ იკრიბება.

ხაშურში, რუსთაველის ქუჩაზე, მოძრაობა ცალმხრივი გახდა

რუსთაველის ქუჩა გახდა ცალმხრივი. რუსთაველზე შემოსვლა შესაძლებელია თბილისის, იმერეთისა და ბორჯომისკენ მიმავალი გზების შემაერთებელი კვანძიდან. ცალმხრივი მოძრაობა გაგრძელდება რუსთაველის ქუჩის ბოლომდე - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ცენტრალური მოედნის მიმართულებით.

ცალმხრივი გახდა ლომოურის ქუჩა რუსთაველის ქუჩის კვეთიდან 180 მეტრის მანძილზე - პროკურატურის რაიონული ოფისის გადასახვევამდე. ქუჩის დანარჩენ მონაკვეთზე შენარჩუნდება ორმხრივი მოძრაობა.

რუსთაველის ქუჩაზე შემოსვლა შესაძლებელია 26 მაისის ქუჩიდან, სადაც მოძრაობა გახდება ცალმხრივი 100 მეტრის მანძილზე ყაზბეგისა და 26 მაისის ქუჩების კვეთიდან 26 მაისის ქუჩისა და რუსთაველის ქუჩის კვეთამდე. 26 მაისის ქუჩის დანარჩენ მონაკვეთზე შენარჩუნდება ორმხრივი მოძრაობა.

მოძრაობა ცალმხრივი გახდა სააკაძის ქუჩაზეც ტაბიძისა და სააკაძის ქუჩების კვეთიდან სააკაძისა და ფალიაშვილის ქუჩების კვეთამდე.

ყველა სხვა ქუჩაზე მოძრაობა შენარჩუნდა ჩვეულ რეჟიმში. შესაბამისად, რკინიგზის ხიდის გადაღმა ან შინდარის უბნიდან ბორჯომისა და იმერეთის ქუჩებზე, ან ცენტრალურ ბაზართან მოხვედრა შესაძლებელია ტაბიძისა და აღმაშენებლის ქუჩების გავლით. ლომოურის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩაზე მოსახვედრად უმოკლესი გზაა პროკურატურის რაიონული ოფისის გადასახვევისა და 26 მაისის ქუჩის გავლით, ასევე დიმიტრი ყიფიანის ქუჩის გავლით. ჭალის უბნიდან ქალაქის ცენტრში მოხვედრა შესაძლებელია რუსთაველის, აღმაშენებლის, ფარნავაზის, გურამიშვილის ქუჩების გავლით. ავტოსადგურის და ბაზრის მიმდებარე დასახლებიდან ქალაქის ცენტრში მოხვედრა შესაძლებელია როგორც რუსთაველის ქუჩის გავლით, ისე ნებისმიერი სხვა ქუჩის გამოყენებით.

„ევექსის“ კლინიკასთან მოსახვედრად რუსთაველის ქუჩაზე შემოსვლა შესაძლებელია როგორც 26 მაისის ქუჩის გამოყენებით, ისე ექვთიმე თაყაიშვილის (ყოფილი ტელმანის), შოლის და კარლო ტაბატაძის (ყოფილი კალინინის) ქუჩების გამოყენებით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2022 წლის ათ თვეში გაწეული მუშაოების ანგარიში

2022 წლის პირველი იანვრიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით,მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური პროგრამების განხორციელებას.

2022 წელს, სამსახურის მიერ, შემუშავებულ იქნა ფულადი დახმარების სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამა,რომელთა ფინანსური მოცულობა შეადგენს 1 147 400 ლარს. მათ შორის:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 105 400 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 809 800 ლარ;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 38 200 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა - 24 000 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 170 000 ლარი;

2022 წლის ათ თვეში გაწეული მუშაოების მდგომარეობა კი ასეთია:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 82 811 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 846 692.3 ლარი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 34 658 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების (48 პედაგოგი) უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა 19 890 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 104 924 ლარი;

გაწეული დახმარების მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი უკავია ქრონიკული დაავადების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მუხლით დაფინანსება ეხება შემდეგი კატეგორიის ავადმყოფებს: ეპილეფსიით, ონკოლოგიურ, დაუნის სინდრომით, ინსულტით, ჰემოფილიით, ღვიძლის ციროზით, სისტემური და ეპიდემიის შედეგად დაავადებულებს 100 ლარის ოდენობით, ბრონქული ასთმა, პარკინსონი, -300 ლარის ოდენობით და აორტო-კორონარული შუნტირებით -500 ლარის ოდენობით, ამ მიზნით დახმარება გაეწია 40-ზე მეტ ბენეფიციარს 20 400 ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვების/ მოზარდების რეაბილიტაციის კურსის დაფინანსებას. სქოლიოზით დაავადებულ 35 მოზარდს გაეწია დახმარება და ჩაუტარდა რეაბილიტაციის სრული კურსი, რამაც 10 500 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წელს მუნიციპალური პროგრამით, ფულადი სოცია;ური დახმარება გაეწია მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებს და იმ პირებს, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, ან საჭიროებენ მომვლელს. აღნიშნული კატეგორიის 130 ბენეფიციარს გაეწია 39 000 ლარის ფულადი დახმარება.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დადებითი როლი ითამაშა ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებამაც. ამ მუხლით ფინანსდებიან:

1. ა) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ გეგმიურ ქირურგიულ ჩარევას;

ბ) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს (ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და იმუნოჰისტოქიმიური კვლევა);

2. ავადმყოფები,რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა;

3. ავადმყოფები,რომლების საჭიროებენ სხივური და ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსებას;

მე-2 პუნქტით- „ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“-დახმარების გაცემის შესაძლებლობას, მიზანშეწონილებას და მოცულობას (არაუმეტეს 2000 ლარისა) განსაზღვრავს 2018 წლის 23 მაისის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის #1196 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული მუხლით ფულადი დახმარება გაეწია 880 ბენეფიციარს,რამაც სულ შეადგინა 436 011.80 ლარი.

ასევე, დაფინანსდა 28 ხელმოკლე სტუდენტი. მათ სწავლის ღირებულების თანადაფინანსებისათვის 800 (არაუმეტეს) ლარის ფარგლებში უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხათ 22 162.50 ლარი;

თირკმლის დიალიზის პროგრამაში ჩართულმა 37 ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება 18 500 ლარის ოდენობით;

მრავალშვილიან (ოთხი და მეტი შვილი) დედებს,რომლებსაც შეეძინათ ოთხი და მეტი შვილი, ასევე, დედის დღესთან დაკავშირებით 345 მრავალშვილიან დედას გაეწიათ ფინანსური დახმარება 118 600 ლარის ოდენობით.

გრძელდება სოციალური დახმარების გაწევა დედ-მამით ობოლ ბავშვებზე. დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში ასეთმა 3 ბავშვმა მიიღო დახმარება 1400 ლარის ოდენობით.

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანი, დევნილი, უპატრონო მიცვალებული) გაეწია 8 ბენეფიციარს 2000 ლარის ოდენობით.

სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირების რესოციალიზაცია გაეწია 2 ბენეფიციარს 400 ლარის ოდენობით.

აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების (0 დან -18 წლამდე) სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება გაეწია 15 ბენეფიციარს 15 000 ლარის ოდენობით.

პარალელურად, გრძელდება წინა პერიოდში დაწყებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დღის მოვლის ცენტრის, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები.

გარდა ამისა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი 185 მოქალაქე სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით, რომლის დანახარჯი, დღეის მდგომარეობით, შეადგენს 104 924 (10 თვე) ლარს;

გრძელდება კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის დაფინანსების მუნიციპალური პროგრამა.

მიმდინარე წელს სოციალურად დაუცველ 755 ოჯახს, შობისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, კვების პროდუქტების პაკეტებით გაეწიათ დახმარება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 54 360 ლარი;

ასევე, ხანძრის შედეგად, უსახლკაროდ დარჩენილმა 8 ოჯახმა მიიღო ფულადი დახმარება 17 500 ლარის ოდენობით;

უკიდურესად გაჭირვებულ და უბინაო მოქალაქეებს (27 ოჯახი) ბინის ქირით უზრუნველსაყოფად ჩაერიცხათ 41 500 ლარი;

ომის ვეტერანთა 49 ოჯახს გაეწიათ ფულადი დახმარება ფაშიზმზე გამარჯვების და საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 300-300 ლარით. სულ ამ თანხამ შეადგინა 14 700 ლარი;

ჩვენი სამსახური მომავალშიც ეცდება გაითვალისწინოს საზოგადოებაში არსებული პრობლემები და მოთხოვნები, რომელიც შესაბამისად ასახული იქნება მოქმედ პროგრამებში.

გიორგი ცერცვაძე,
მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

„თბილისის გულის ცენტრმა“, ხაშურში, უფასო სამედიცინო კვლევა ჩაატარა

5 ნოემბერს, „თბილისის გულის ცენტრის“ და „გორმედის ხაშურის ცენტრალური საავადმყოფოს“ ერთობლივი ძალისხმევით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ხაშურში ჩატრდა, უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია.

აქცია მოიცავდა კარდიოლოგიური პროფილის უფასო კონსულტაციებს და გამოკვლევებს (ექიმი-კარდიოლოგის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრამა, ექოკარდიოგრაფია), ასევე ტრავმატოლოგის და ქირურგის კონსულტაციას, შესაბამისი რენტგენოლოგიური გამოკვლევის ჩათვლით.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4, 5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28, 29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40)

ორთქლმავლების შეკეთებაზე მუშაობიდან გათავისუფლებულმა საკომპლექსო ბრიგადამ, რომელსაც სტახანოველი ოსტატი გიორგი ლომიძე ხელმძღვანელობდა, დეკემბერსა და იანვრის პირველ დეკადაში ხუთი ნადავლი ვაგონი შეაკეთა. ამ სამუშაოებში თავი ისახელეს სტახანოველმა ზეინკლებმა: ციყელაშვილმა, ჩიტაძემ, ოშხნელმა, მარნაძემ, წიქვაძემ და გოგოლაძემ, რომლებიც სამუშაოდან თავისუფალ დროსაც კი მუშაობდნენ დავალებათა სანიმუშოდ განადდებისათვის.

1944 წელს ორთქლმავლების საერთო გარბენის გეგმა შესრულდა 160%-ით, ლოკომოტივების აწევითი და საშუალო შეკეთებისა - 105, შრომის ნაყოფიერება აამაღლეს 41,5%-ით. ამას გარდა გათვალისწინებული 50-ის ნაცვლად სხვადასხვა პროფესიაზე მოამზადეს 69 კაცი, დაზოგეს 29217 კგ მაზუთი, ასევე ადგილობრივი რესურსების გამოყენებით დაზოგეს 886674 მანეთი.

მომდევნო ომის დამამთავრებელ 1945 წელს, მეორთქლმავლეებმა საერთო გარბენის გეგმა შეასრულეს 270%-ით, 12-ის ნაცვლად, ორთქლმავლების გარეცხვითი შეკეთება ჩაატარეს 134 ლოკომოტივზე, 3-ის ნაცვლად აწევითი და საშუალო რემონტები ჩაუტარდა 4 ორთქლმავალს. ავადმყოფი ლოკომოტივების პროცენტი შემცირდა და 20%-ით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 51%-ით. გეგმით გათვალისწინებული 61-ის ნაცვლად მოამზადეს 65 კაცი. დაზოგეს 310 ტონა საწვავი, აგრეთვე 634 364 მანეთი.

რკინიგზის საწარმოებს შორის ასევე გამოირჩეოდა **სავაგონო დეპოს კოლექტივი.** მევაგონეებმა არაერთ წამოწყებას ჩაუყარეს საფუძველი და წარმატებით ასრულებდნენ ყველა პირობას.

ერთ-ერთი ასეთი წარმოწყება იყო ვაგონების შეკეთება ჩქაროსნული მეთოდით, სამუშაოდან თავისუფალ დროს, ინვენტარიდან გამორიცხული ნაწილებით. ამ წამოწყების თაოსნები იყვნენ დურგლები ვლადიმერ ძინძიბაძე და დ. ჩიტაძე. მათი მაგალითით დაიწყეს მუშაობა მათმა თანამოსაქმეებმა ელისაშვილმა და რ. ხომასურიძემ. მევაგონეები წარმატებით ძლევდნენ წარმოქმნილ სიძნელეებს. მათ ხშირად ეშლებოდათ ხელი ჭანჭიკების ნაკლებობის გამო. ამ დროს მწყობრიდან გამოსული იდგა ჭანჭიკების საჭრელი დაზგა. მისი აღდგენა დეპოს საიარაღოს გამგემ გიორგი აბიაშვილმა შეძლო და პრობლემებიც გადაიჭრა.

თავდადებული შრომის საუკეთესო მაგალითს იძლეოდნენ დეპოს ახალგაზრდები. 1942 წლისათვის აქ იყო 35 „ორასოვანი“ და 15 „ლუნინელი“. ეს მაშინ, როდესაც ომამდე მხოლოდ 12 „ორასოვანი“ და 6 „ლუნინელი“ იყო. დეპოდან არაერთი თანამშრომელი წავიდა ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მათი ადგილები ახალგაზრდობამ დაიკავა, რომლებმაც აიმაღლეს კვალიფიკაცია და წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. მატარებლის გამზეთავები მიხეილ ბეროზაშვილი და იოსებ მინდიაშვილი დაწინაურდნენ მატარებლის ოსტატებად, ზეინკალი ნიკოლოზ ინდუაშვილი ტექგამსინჯველად, ავტოზეინკალი შ. ბლიაძე, ავტოგამსინჯველად. ახალგაზრდულმა ცვლამ დაიმსახურა მოწინავის სახელი. 1941 წლის ივლისში ცვლამ თვიური დავალება 193%-ით შეასრულა, ნოემბერში - 213%-ით, დეკემბერში - 187%-ით. ახალგაზრდებმა გერონტი ფცქიალაძემ, იოსებ მინდიაშვილმა, პავლე კლიმენკომ, ვახტანგ კაკიაშვილმა, შოთა მჭედლიშვილმა, პავლე ტაბატაძემ და სხვებმა 273-300%-ით შეასრულეს დეკემბრის თვის საწარმოო დავალება.

რკინიგზელთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას აღებულ ვალდებულებებს ყოველთვიურად პირნათლად ასრულებდნენ სავაგონო დეპოს ცვლები და სპეციალისტები.

1942 წელს ივნისის თვე დეპოს კოლექტივმა წარმატებით დაასრულა ბუქსების გასინჯვის თვიური დავალება შესრულებული იქნა 500%-ით, ყველა სახის ვაგონების წლიური შეკეთებისა - 100%-ით. 122 %-ით შესრულდა საბარგო ვაგონების საშუალო შეკეთების გეგმა, ხოლო ავტომუხრუჭების გასინჯვისა - 103%-ით.

აუხსნელი შეკეთების კომკავშირულმა ცვლამ, რომელიც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელობისა იყო, შეინარჩუნა და განამტკიცა წინა თვეებში მოპოვებული წარმატება. ცვლის უფროსის ლუარსაბ მაღრაძისა და პარტორგანიზაციის მდივნის შ. მაღრაძის ხელმძღვანელობით ცვლამ 15%-ით შეამცირა მატარებლების დგომა ტექნიკური გასინჯვის დროს. ცვლამ 200%-ით შეასრულა ვაგონების საშუალო შეკეთების თვიური დავალება. ასეთივე წარმატებები ჰქონდა ცვლას, რომელსაც ხელმძღვანელობდა დავით ჩადუნელი.

აღებული ვალდებულებები წარმატებით შეასრულა შემდუღებელმა ს. კილასონიამ. მან თვიური დავალება 718 %-ით შეასრულა. დურგალმა ხომასურიძემ 584%-ით, მექვაბე ივანე პოპოვი, რომელმაც თვიური დავალება 300 %-ით შეასრულა, წარმოებიდან მოუწყვეტლად ერთ ამხანაგს შეასწავლა თავისი პროფესია.

აღსანიშნავია ისიც, რომ არაერთი მევაგონე სამუშაოზე გამოდიოდა თავის ოჯახის წევრებთან ერთად. 1942 წლის 9 ივლისს, კვირას ზეინკალმა გ. აბუაშვილმა, რომელიც სამუშაოზე გამოვიდა ოჯახის წევრებთან ერთად საშუალო შეკეთებიდან გამოუშვა 1 ვაგონი. ამავე დღეს დ. ჩიტაძემ ოჯახის წევრებთან ერთად შეაკეთა ერთი ვაგონი.

გიორგი აბრამაშვილმა და ნიკო გურეშიძემ, რომლებიც პენსიაზე იმყოფებოდნენ და ომის წლებში ისევ სავაგონო დეპოს დაუბრუნდნენ, თითოეულმა მათგანმა თითო ვაგონი შეაკეთა.

შინარესურსების გამოყენების საუკეთესო მაგალითებს იძლეოდა დეპოს დამხმარე საამქრო, რომელსაც ოსტატი გ. ზაზიკაშვილი ხელმძღვანელობდა. შინარესურსების გამოყენების საფუძველზე საამქრომ 6457 მანეთის სხვადასხვა სახის იარაღი დაამზადა და მარტო ნოემბერში დეპოს 1503 მანეთის ეკონომია მისცა. საამქროს ზეინკალი რ. ხომასურიძე ომამდე 250%-ით ასრულებდა დავალებებს, ხოლო შემდეგ 400%-ით ასრულებდა. ასევე მუშაობდნენ ხარატი ლ. მოწონელიძე, შემდუღებელი ს. კილასონია, დურგალი ციცქიშვილი და სხვა.

შემდუღებელი სოლომონ კილასონია ომამდე გეგმებს 400 %-ით ასრულებდა, ომის პერიოდში მაჩვენებლები უფრო გააუმჯობესა. 1942 წლის იანვრის ორი კვირის გეგმა 502%-ით შეასრულა, დურგალმა ს. ხომასურიძემ 400%-ით, ხოლო ელიაშვილმა - 300%-ით.

მევაგონეები აქტიურად ეხმაურებოდნენ ქვეყანაში განვითარებულ მოძრაობას – თავდაცვის ფონდში თავიანთი დანაზოგების შეტანის თვალსაზრისით. სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნეს“ ასაგებად მარტო ერთ დღეს სავაგონო დეპოს მშრომელებმა 3000 მანეთი შეიტანეს.

სავაგონო დეპოს კოლექტივმა 1943 წლის მანძილზე ყველა სახის სამუშაოების წლიური გეგმა შეასრულა 102,3 %-ით. 1944 წელს 100,6 პროცენტით, ხოლო 1945 წელს 101,7 პროცენტით.

დეპოს წარმატებულ საქმიანობაში თითოეულ წევრს შეჰქონდა წვლილი. მჭედელმა ბეჟან კალმახელიძემ 1944 წლის 4 ივლისს გეგმა შეასრულა 200, 4%-ით, შემდუღებელმა ს. კილასონიამ - 110, 6 %-ით.

1944 წლის 1 ივლისამდე აქ გამოიმუშავეს 500 ცალი იარაღი, რომლის ღირებულება შეადგენდა 500 მანეთს.

თანამმოსაქმეთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ლ. მაღრაძის ცვლამ. ასეთივე კარგი მაჩვენებლები გააჩნდათ გრ. ბურნაძისა და დ. ჩადუნელის ცვლებს.

1944 წლის ზაფხულში ქვეყანაში ფართოდ გაიშალა რკინიგზელთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. ხაშურის კვანძის ცალკეული საწარმოები ჩაებნენ რა შეჯიბრებაში, შედეგმაც არ დააყოვნა. სულ მალე გამოიკვეთა დაწინაურებული კოლექტივები.

„მევაგონეთა გამარჯვება“ - ასეა დასათაურებული წერილი ადგილობრივ გაზეთში, რომელიც მოგვითხრობს იმ შრომით აღმავლობაზე, რაც სავაგონო დეპოში სუფევდა. მასში ვკითხულობთ: „რკინიგზელთა სრულიად საკავშირო დღისათვის საუკეთესოდ შესახვედრად ხაშურის სავაგონო დეპოში ფართოდ გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება. საამქრო-საამქროს, ცვლა-ცვლას, ბრიგადა-ბრიგადას და ოსტატი-ოსტატს ეჯიბრება, რომ რაც შეიძლება მალე შევიდეს მათი სახელი „დიდების წიგნში.“

დეპოს ოსტატებმა თქვეს: 5 წელია, გამოუყენებელია ჭანჭიკების საჭრელი დაზგა, ჭანჭიკები კი სწორედ ახლა გვჭირდება ყველაზე მეტად და ხელი გვეშლება საწარმოო დავალებათა შესრულებაში. ერთი მიგდებული დაზგა, რომ აღადგინეს საორთქლმავლო დეპოში, განა ჩვენ ვერ შევძლებთ ამ დაზგის აღდგენასო, სთქვეს და გააჩაღეს მუშაობა. მალე, 1 ივლისამდე დაზგა მწყობრში ჩადგება და ყოველდღიურად მოგვცემს 500-ზე მეტ ჭანჭიკს.

დეპოელთა მეორე ვალდებულებაა სიიდან გამორიცხული დამტვრეული ნაწილებიდან ააშენონ, სრულ წესრიგში მოიყვანონ და გზას საექსპლუატაციოდ გადასცენ 2 ვაგონი.

16 ივნისი მევაგონე-დურგალთა დიდი გამარჯვებით აღინიშნა. 15 ივნისს საწარმოო დავალების შესრულების შემდეგ დურგლებმა ჩიტაძემ და ძინძიბაძემ კარგად დაგეგმეს ხვალინდელი სამუშაო, მოამზადეს მასალები და ხელსაწყოები, მეორე დღეს დილით კი, განაცხადეს, რომ დღეს ააშენებენ და გამოუშვებენ 1 ვაგონს. ეს არ იყო ლიტონი სიტყვა. ეს იყო მტკიცე რწმენა და პირობა, რომელიც პირნათლად გაანაღდეს. დღის ბოლოს სატვირთო ვაგონი მზად იყო. ცარიელი ჩარჩოდან ააშენეს ის და გადასცეს საექსპლუატაციოდ, დღიური დავალება 1158 პროცენტით შეასრულეს და დეპოს ხელმძღვანელობას სთხოვეს, რომ გამომუშავებული თანხა გადარიცხოს თავდაცვის ფონდში.

ჩიტაძის და ძინძიბაძის გამარჯვებამ მძლავრი გამოხმაურება ჰპოვა დეპოში. 17 ივნისს პირობები მოამზადეს და 18 ივნისს, დასვენების დღეს სტახანოვურ ვახტაზე დადგნენ დურგლები ელიაშვილი და ხომასურიძე. დაძაბულ შრომაში გაიარა დღემ. საღამოს 6 საათზე მათ დეპოს ხელმძღვანელობას გადასცეს რამიდან (ჩარჩოდან) აღდგენილი ვაგონი და მსგავსად ჩიტაძისა და ძინძიბაძისა გამომუშავებული თანხა თავდაცვის ფონდში გადარიცხეს“ .

სავაგონო დეპოს კოლექტივმა 1944 წლის ივლისის თვის საწარმოო გეგმაც ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის ზევით ააშენეს 4 ვაგონი. საშუალო შეკეთებიდან ნაცვლად 20 ვაგონისა, გამოუშვეს 23 ვაგონი. აღდგენილი იქნა 15 ნადავლი ვაგონი, წლიური შეკეთებიდან გამოუშვეს ნაცვლად 25 ვაგონისა 34 ვაგონი.

გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში თავი ისახელეს დეპოს დურგლებმა დ. ჩიტაძემ, ვ. ძინძიბაძემ, რ. ხომასურიძემ, ა.ელიაშვილმა და ი. ჭელიძემ. მათ ნაცვლად 5 დღეღამისა, 11 საათში გამოუშვეს ვაგონები კაპიტალური შეკეთებიდან. კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირმა აბიაშვილმა ნაცვლად 3 დღისა, 8 საათში გამოუშვა საშუალო შეკეთებიდან ვაგონი. მჭედელმა კალმახელიძემ, მეურვე დურგლიშვილმა და შემდუღებელმა კილასონიამ სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს. ერთი დღის გეგმა 1700-დან 2000 პროცენტით შეასრულეს. ვ. ქიტიაშვილის, რ. სულეიმანაშვილის. ა. ბიჭიკაშვილის საამქროებმა გადაჭარბებით შეასრულეს ვაგონების გამოშვების გეგმა.

ბ. კალმახელიძემ ახალ სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია 1944წლის საოქტომბროდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. 19 ოქტომბერს მან 318 საათის სამუშაო შეასრულა 11 საათში, რაც შეადგენდა დღიური დავალების 3070 პროცენტს. ამ დღეს გამომუშავებული თანხა – 547 მანეთი ბ. კალმახელიძემ თავდაცვის ფონდში შეიტანა.

სალიანდაგო დისტანციის კოლექტივმა სამუშაოდან თავისუფალ სათებში ბორჯომის ხეობასა და სურამის უღელტეხილზე დაამზადეს 16 ათასი ცალი შპალი, რამაც მთლიანად დააკმაყოფილა მათი მოთხოვნილება.

დისტანციის კოლექტივმა სამამულო ომის ფრონტებზე გაგზავნა შინ დამზადებული 1200 ცალი სხვადასხვა სახის იარაღი და მოწყობილობა.

1943 წელს დისტანციის კოლექტივმა ლიანდაგის მიმდინარე შეკეთების გეგმა შეასრულა 104,5%-ით, საშუალო შეკეთებისა – 110%-ით, ხოლო მოხვეულების გამაგრებისა – 217,4%-ით. ამასთან მომზადდა სხვადასხვა პროფესიის 122 მუშა და დაწინაურდა 22 კაცი.

1944 წელს დისტანციამ ლიანდაგის მიმდინარე შეკეთების წლიური გეგმა შეასრულა 104,5%-ით. საშუალო შეკეთებისა – 100 და მოხვეულების გამაგრებისა 114,6%-ით, სხვადასხვა პროფესიაში მომზადდა 74, ხოლო დაწინაურდა 21 კაცი.

1945 წელს მელიანდაგეებმა ლიანდაგის მიმდინარე შეკეთების წლიური გეგმა შეასრულეს 104,3%-ით. საშუალო შეკეთებისა 110%-ით, სხვადასხვა პროფესიაში მომზადდა 85 და დაწინაურდა 18 კაცი.

საუკეთესო შრომითი მაჩვენებლები ჰქონდათ ნ. ჩადუნელს, ი. ქოქოშვილს, ო. მჭედლიშვილს, შ. ღონღაძეს, ი. კიკვაძეს და სხვებს. დისტანციაში შრომით საქმიანობას ეწეოდა 42 ქალი.

ომის მანძილზე შინარესურსებად გამოიყენეს 12 000 ცალი შპალი, 196 ზედი და ქვედი, 41 ტონა ომბოხები („კასტილები“) და სხვა.

1944 წელს გომის საოსტატოს (გზის ოსტატი ანდრო შარვაძე) მიენიჭა ლუნინის საოსტატოს წოდება, საოსტატოს კოლექტივმა საისრე მეურნეობა მთლიანად გადაიყვანა ღორღზე და აიღო ინიციატივა „ჯვარედინების“ თვითონ შეკეთებაზე. ამასთან ოჯახის წევრების დახმარებით გზა მოიყვანეს სანიმუშო მდგომარეობაში.

წარმატებით იღწვოდნენ რკინიგზის კვანძის სხვა დაწესებულებები: რკინიგზის ხაშურის სადგურის, კონდუქტორთა მარქაფის, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის დისტანციის, მოძრაობის განყოფილების, ენერგომომარაგების პირველი უბნისა და სათბობი საწყობის კოლექტივები.

რკინიგზის ხაშურის სადგურის მუშა-მოსამსახურეები ომის წლებში ყოველთვის წარმატებით ანაღდებდნენ აღებულ ვალდებულებებს. ასე იყო 1942 წლის წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისას. ცვლამ, რომელსაც სადგურის მორიგე გ. შარიქაძე ხელმძღვანელობდა, საქონლის ოპერაციების ქვეშ მდგომი ვაგონების მოცდენა 2,4 საათით შეამცირა, ხოლო მშრალი ვაგონებისა 3,1 საათით. საწარმოო დავალებებს წარმატებით ასრულებდნენ აგრეთვე პირველი და მესამე ცვლები, რომლის უფროსებადაც მუშაობდნენ სადგურის მორიგეები ლომინაძე და ღონღაძე. წინასამაისო ვალდებულებათა შესრულებისთვის დაუღალავად მუშაობდნენ მატარებლის შემდგენლები: ა. ღონღაძე და მ. ციცქიშვილი, მეისრეები ვ. ხიხაძე, ი. ხაჩიძე, ი. ქურდაძე, გ. ოსაძე, ტ. კიკნაძე, შ. ორთოიძე და სხვები.

1944 წლის საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს მიაღწიეს ხაშურის რკინიგზის სადგურის მუშა-მოსამსახურეებმაც.

სექტემბრის თვეში მათ ამიერ-კავკასიის რკინიგზის სადგურებს შორის მეორე ადგილი დაიკავეს 75-ის ნაცვლად დატვირთეს 149 ვაგონი, ხოლო გადმოტვირთვის გეგმა მთლიანად შეასრულეს. ამ სამუშაოთა შესრულებისას გააკეთეს 3780 ვაგონსაათის ეკონომია.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

(დასასრული. დასაწყისი იხ.„ხმ“,#36,37,38,39,40)

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ხაშურის მუნიციპალიტეტის შესახებ

(მოსახლეობა და ეკონომიკური მდგომარეობა)

ოსმალური ვალდებულებებისა და გადასახადების ჯამი 9740 ახჩაა.

ფლევზე ოდნავ დიდი სოფელი ჩანს ტკოცა,სადაც დაფიქსირებულია 21 კომლი. გადასახადების გადამხდელი 38 კაცი იხდის ისფინჯის გადასახადს 4560 ახჩის ოდენობით.

სამეუფეო ველზე დაწესებულია გადასახადი დღიური მფლობელობით 20 ახჩა, მიწაზე - 50, ხოლო სამეუფეო ვენახზე 2 ახჩა.

ტკოცელები იხდიდნენ 4000 ახჩის ღირებულების 200 ქილა ხორბალს, 1500 ახჩის ღირებულების 100 ქილა ქერს, 300 ახჩის ღირებულების 20 ქილა ჭვავს, 450 ახჩის ღირებულების 30 ქილა ფეტვს. გადასახადი შეწერილი ჰქონდათ ერბოზე - 200 ახჩა, სკაზე - 120 ახჩა, ცხვარზე - 100 ახჩა და ღორზე - 80 ახჩა.

უშრის გადასახადს 20 დონუმ ვენახზე იხდიდნენ 800 ახჩის ოდენობით, ხილზე - 80 ახჩას.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადიც 120 ახჩაა.

ბადიჰავას გადასახადს იხდიდნენ ნახევარს - 25 ახჩას.

ოსმალური ვალდებულებებისა და გადასახადების ჯამი 12455 ახჩაა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბოლო სოფელი ულუმბაა (ულუნბა), სადაც 6 კომლია დაფიქსირებული. გადასახადის გადამხდელი 18 სრულასაკოვანი კაცია ულუმბაში. მიწაზე გადსახადი დღიური მფლობელობით 50 ახჩაა. სხვა ინფორმაცია გადასახადების შესახებ არ არის მოცემული დავთარში. ნათქვამია მხოლოდ ის, რომ ოსმალური ვალდებულებებისა და გადასახადების საერთო ჯამი შეადგენს 5800 ახჩას.

დავთარში ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებზე გაწერილი გადასახადები საშუალებას გვაძლევს მიახლოებით დადგინდეს მოსახლეობა რა რაოდენობის ხორბალს, ქერს, ჭვავს, ფეტვს მოიწევდა, როგორ იყო მესაქონლეობა, მხედველობაში გვაქვს მეცხვარეობა და მეღორეობა, წარმოდგენილი სოფლის მეურნეობაში. აგრეთვე მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიცაა მეფუტკრეობა და სხვ.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ოსმალური გადასახადის ერთ-ერთ სახეობაზე,რომელიც „უშრის“ ანუ „უშურის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულიარომ უშრის გადასახადს „...დიდი ადგილი ეჭირა ოსმალურ საგადასახადო სისტემაში“ და „მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო“, რაც „ნათლად ჩანს ოსმალური კანონ-ნამეების ანალიზიდან“. მიუთითებენ,რომ „ძნელია მოინახოს დარგი სოფლის მეურნეობისა, რომელზედაც არ იყოს გაწერილი უშრი“(ნ. შენგელია, გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს-ის ოსმალეთში“, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ.VI, ნაკვ.2, თბ. 1962, გვ.124).

უშრის ოდენობა მეათედის სახით იყო დაკანონებული. ამიტომაცა, რომ ოსმალურ წყაროებში მას მეათედის სახელითაც მოიხსენიებენ.

ჩვენს შემთხვევაშიმ ეს გადასახადი მითითებულია ვენახზე, ხილზე და ბოსტნეულზე. სხვა შემთხვევაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე პირდაპირ მითითებულია გადასახადი, როგორც ნატურით, ასევე შესაბამისი თანხით.

როგორც უკვე ცნობილია, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა იხდიდა 7380 ქილა ხორბალს, რაც მოწეული მოსავლის მეათედს შეადგენდა. გამოდის, რომ მუნიციპალიტეტში ამ დროისათვის მოიწეოდა 7380 ქილა X 10 = 73800 ქილა. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში,რომ ერთი სტამბოლური ქილა 25 კგ-ის ტევადობისაა, ხორბლის მოსავალი მიღებულია 73800 ქილა X 25 = 18.450.00 კგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქერის მოსავალი შეადგენდა 10.750.00 კგ-ს, ჭვავის - 3.325.00, ხოლო ფეტვის - 7.675.00 კგ-ს. დავთარში საუბარი არ არის მუნიციპალიტეტში მესაქონლეობის შესახე. შეუძლებელია მეურნეობის ეს დარგი წარმოდგენილი არ ყოფილიყო, მით უფრო მუნიციპალიტეტის მთიან ადგილებში. ამ დარგის განვითარებას იძლეოდა, როგორც საციციანოს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთის მთისწინეთი,ასევე ლიხის ქედის აღმოსავლეთ მთისწინეთის სოფლები.

სამაგიეროდ საუბარია მუნიციპალიტეტში მესაქონლეობის ისეთ დარგებზე, როგორიცაა მეცხვარეობა და მეღორეობა.

ცხვარზე დაწესებული გადასახადი ფულადი სახით გაიღებოდა. იგი ძირითადად ორ ცხვარზე ერთ ახჩას უდრიდა. ამ დროისთვის დავთრის მიხედვით მუნიციპალიტეტში ცხვარზე გადასახადი შეიადგენდა 24490 ახჩას. მიღებული წესის თანახმადი მუნიციპალიტეტში ყოფილა 48.980 სული ცხვარი.

რაც შეეხება ღორზე დაწესებულ გადასახადს, იგი 9040 ახჩას შეადგენდა. პროფ. ნ. შენგელიას თანახმად, „წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ საზოგადოდ ღორზე დაწესებული ოდენობა ყველგან ერთნაირი იყო და იგი გაიღებოდა ყოველ ღორზე ორი ახჩის ოდენობით“. ამრიგად, მუნიციპალიტეტში ყოფილა 4520 ღორი.

ცალკე უნდა გამოვყოთ გადასახადი მეფუტკრეობაზე, რომელიც ცნობილია რესმი აღილის სახელით. ნ. შენგელია წერს: „კანონ-ნამეების მიხედვით, „აღილ რესმი“ უნდა გაღებულიყო იმ ადგილებზე, სადაც რეაიას დაბინავებული ჰყავდა ფუტკარი. იქ ნათქვამია: „ადგილზე, სადაც ფუტკარია დაბინავებული რესმი აღილის სახით ორ-ორ ახჩას იძლევიან. ფუტკარი ბევრია თუ ცოტა, „აღილ რესმის“ მაინც იხდიან“. დავთრის მიხედვით, მუნიციპალიტეტში ფუტკრის სკაზე იხდიან 4900 ახჩას. თუ ზემოთ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, მუნიციპალიტეტში 2450 ძირი სკა ფუტკარი ყოლიათ.

ოსმალური გადასახადები მძიმე ტვირთად აწვა ქართლის მოსახლეობას, როგორც გლეხობას, ასევე წარჩინებულ ფენას, თავადაზნაურობას. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოგვყავს სურამელი აზნაურის მამუკა მურვანიშვილის მიერ 1730 წლის 21 მაისს მურვან მურვანიშვილისადმი მიცემული გირავნობის წიგნი, რომელშიც კარგად ჩანს ზემოთ აღნიშნული: „ ესე წიგნი და პირი მოგეცით მე, შენმა ბიძაშვილმა მამუკამა და ჩემა ძმამა თამაზამა შენ, ჩემს ბიძაშვილს მურვანსა, ძმასა შენსა ბაკას, ლუარსაბსა და რევაზსა, ასე რომე მირის თეთრი დამედვა თვრამეტი თუმანი, დამიჭირეს მუშაბირებმა, ვერსით ილაჯი ვერ ქუნი (სიც.) ახია, წახვე, შენც თათრისაგან ასი ხუთათნე (?) და ისე მე მამეც ის თვრამეტი თუმანი და დამიხსენ, მოგეც ამის გირ(ა)ოთ ბიჯნის ორი საკომლო ჩემი წილი და ჩემის ძმებისა. ამის გარდა სურამს თუ რამ ჩვენი წილი რამ იყოს გაუსყიდელი, ესები სულ შენ და შენს ძმებს მოგეც გირ(ა)ოთ, თუ ამ ერთს წელიწადს ეს შენი თეთრი რუსეთიდამა ვერ მოგიტანო,ამ გიროებზე ხელი ამიღია, მ(ა)ინც გ(ა) უყრელი ვიყავით და ყოვლის კაცის უცი -ლებლათ მამიცია, თუ ვინმე შემოგეცილოს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ“(ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ.II, 1909, გვ.353-354).

თავადაზნაურობა გლეხობასთან ერთად ფიქსირდება აღწერებში და ისევე იხდიდნენ გადასახადებს, როგორც სხვები. ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ დაბალ ფენებთან ერთადმ მაღალი ფენის წარმომადგენლებიც აქტიურად იბრძოდნენ ოსმალობის წინააღმდეგ, რაც XVIII ს-ის 30 - იან წლებში ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. თუმცა ოსმალები ყიზილბაშებმა შეცვალეს და ქვეყნის წინაშე კვლავ დღის წესრიგში დადგა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

თ. ლაცაბიძე

სოფელ ცოცხნარამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია აქტიურად გრძელდება

ამ ეტაპზე, დაბა სურამის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასფალტის საფარის დაგება მიმდინარეობს, უკვე განხორციელდა მოხრეშვისა და მოსწორების სამუშაოები. პარალელურად ეწყობა სანიაღვრე არხები.

პროექტით, ასევე, გათვალისწინებულია, მილ-ხიდების მოწყობა და საგზაო ნიშნების მონტაჟი.

სოფელ ცოცხნარამდე და ქემფრამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოების ფარგლებში, გარკვეულ ტერიტორიებზე უკვე განხორციელდა გზის მოწყობა. პროექტი გარდამავალია, ამიტომ ცოცხნარამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შემდეგ, მოეწყობა ქემფრამდე მისასვლელი გზა.

სამუშაოებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, ღირებულება კი 4 599 999 ლარს შეადგენს.

სოფელ ცოცხნარამდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობა პირველად ხორციელდება, სამუშაოების დასრულების შემდეგ, მოსახლეობა კომფორტული საგზაო ინფრასტრუქტურით ისარგებლებს, რაც საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მიერ 2022 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში აღრიცხულია 105 598 ექსპონატი. მათგან: არქეოლოგიური კოლექციები (79932), ყოფისა და ეთნოგრაფიის მასალები(769), დოკუმენტური(4614), ფოტო(9890), ფერწერული(69), ნუმიზმატიკური(1286) მასალა, საეკლესიო ნივთები(14), ძველი და ძვირფასი ნივთები(379), წერილობითი ძეგლები (4672), საცნობარო მასალა(1325), წარმოების მასალები(75), გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები(10), სკულპტურა(8), გრაფიკა(6), სამეცნიერო დამხმარე მასალა(2374).

2022 წლის 9 თვეში, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებამ განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

-მოვამზადეთ 2021 წლის სტატისტიკური მონაცემები და გადავგზავნეთ შესაბამის უწყებაში;

-შევქმენით ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ექსპონატების ელექტრონულ მონაცემთა ბაზა 95674 ექსპონატზე;

-მოვაწყეთ მინი-ექსპედიციები (4-ჯერ) ხაშურის ცენტრში, კოშკის უბანში, ოჯახებში მოვიძიეთ მნიშვნელოვანი ფოტო და ნივთიერი მასალა, რითაც გავამდიდრეთ სამუზეუმო ფონდი);

-მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს „ლურჯი ფარის“ ეროვნული კომიტეტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში(15. 06. 2022. და 29. 06. 2022.), რომლებიც გაიმართა კატასტროფების რისკების მართვის გეგმის წარდგენის თაობაზე;

-შევავსეთ და გადავგზავნეთ საქართველოს „ლურჯი ფარის'' მიერ შემუშავებული კითხვარი, რომლის პასუხებიც გამოყენებული იქნა თსუ მაგისტრატურის სტუდენტის, სალომე ქასაბიშვილის სამაგისტრო ნაშრომში: „საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა შიდა ქართლის მუზეუმებში-გორის, ქარელის, ხაშურის და კასპის მუზეუმების სიტუაციის ანალიზი.“

-მომზადდა პასუხები საქართველოს კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოგზავნილ საინფორმაციო კითხვარ-ფორმულიარზე ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებაში შემავალი მუზეუმების შესახებ(17 გვერდი);

-ვიმუშავეთ მუზეუმში დაცული ეთნოგრაფიული კოლექციის(სპილენძის ნივთები: სამოვრები, თუნგები, ქვაბები) განლაგებაზე ახალ ფონდსაცავში; მოვახდინეთ რკინისგან დამზადებული ნივთების დეზინფექცია-ინვენტარიზაცია;

-სამუზეუმო დამხმარე ფონდის საინვენტარო წიგნებში აღვრიცხეთ ა. რამიშვილის პირად არქივში შემავალი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალები და გამოცემები;

-მოვახდინეთ სოფ. წაღვლის „მიქელაანთ ვერხვების“ სამაროვნის ფოტოების იდენტიფიკაცია ალ. რამიშვილის არქივიდან(15 სამარხის), მიმდინარეობს მუშაობა; -მოვამზადეთ ინტერვიუები ხაშურის ინტერნეტტელევიზიისთვის(გ. მანჩაკოვი) ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საფონდო მუშაობის, კოლექციებისა და ცალკეული მნიშვნელოვანი ექსპონატების შესახებ(სულ: 5 ინტერვიუ);

-ვითანამშრომლეთ საქართველოს კინოსა და თეატრის მუზეუმის ქართულ აფიშებთან დაკავშირებული პროექტის წარმომადგენლებთან, ამავე პროექტის ფარგლებში, ფონდიდან ამოვწიეთ მუზეუმში დაცული ყველა ტიპის აფიშა, გავაცანით მათ და ერთობლივად მოვახდინეთ ფოტოგრაფირება;

-მონაწილეობა მივიღეთ ხაშურის მე-8 საჯარო სკოლის მასწავლებლის, ფ. თოთლაძის სადამრიგებლო კლასში განხორციელებულ პროექტში(გვქონდა ოთხი ონლაინ ჩართვა მოსწავლეებთან, კონსულტაციები მასწავლებლებთან და მინი-ლექცია პროექტის პრეზენტაციის დღეს);

-მონაწილეობა მივიღეთ 2022 წლის 27 აპრილს გამართულ სამეცნიერო კონფერენციაში თემით: „სარკინიგზო ქალაქის სათავეებთან“;

-ფონდში მოვიძიეთ დოკუმენტური ინფორმაცია და ფოტო მასალა მხატვარ ა. ციმაკურიძისა და მისი ნამუშევრების შესახებ და ელექტრონულად გადავუგზავნეთ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორ-ემერიტუსს, ირინე აბესაძეს ა. ციმეკურიძის შესახებ მომზადებულ წიგნ-კატალოგში გამოსაყენებლად და გამოფენის მოსაწყობად, დავსახეთ სამომავლო თანამშრომლობის გეგმები პროექტის: „ალექსანდრე ციმაკურიძე და ქართული პეიზაჟური სკოლა“ ფარგლებში;

-ფოტო ფონდიდან ამოვწიეთ და შესაბამისი მასალით(საეკლესიო პირები ხაშურის რაიონიდან 1921 წლამდე) დავეხმარეთ (გადავგზავნეთ ელექტრონული პირები) ქართული ეკლესიის ისტორიის მკვლევარ ლუარსაბ ტოგონიძეს;

-მუზეუმის შესახებ არსებული ინფორმაციით და საფონდო მასალებით დავეხმარეთ ხაშურის მე-3 საჯარო სკოლის მასწავლებელს, ნანა გუჯეჯიანს მისი სადამრიგებლო კლასის მიერ განხორციელებულ სასკოლო პროექტში, შედგა ინტერვიუები მოსწავლეებთან;

-ჩავატარეთ სამუზეუმო ნუმიზმატიკური ფონდის ერთი ნაწილის(ორდენები და მედლები) ინვენტარიზაცია;

-დავიწყეთ ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური ფონდის ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა;

-ფოტო-ნეგატივების, ხელნაწერებისა და დოკუმენტების კოლექციები შეივსო ახლადმოძიებული და ფონდში შემოტანილი და დამუშავებული არქივებით(3 არქივი);

-მოვიპოვეთ ინფორმაცია სოფ. ხცისში არსებული ციციშვილების ისტორიული მარნებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად, შევადგინეთ განსახორციელებელ სამუშაოთა ნუსხა.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ლესია უკრაინკას მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე სკვერის რეაბილიტაცია

ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში, საანგარიშო პერიოდში , განხორციელდა ექსპოზიციის შევსება- გადახალისება ახალი მასალით. აქ დაცულია 1300-ზე მეტი ექსპონატი. მუზეუმს სტუმრობდა 600-ამდე დამთვალიერებელი. ჩატარდა 20 ექსკურსია. მუზეუმი აქტიურად იყო ჩართული ტაშისკრის ბრძოლიდან 423-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. გარდა ამისა, მუზეუმს, 14 მაისს, შეხვედრა ჰქონდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და მათ ხელმძღვანელებთან, მათ მიერ შემუშავებულ პროექტთან (“ტურიზმის განვითარება საქართველოში”) დაკავშირებით (ხელ. თამილა გოგოლაძე).

- 16 მაისს უმასპინძლეს შეხვედრას „ევროპის დღეები 2022“ - ის ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის, ხაშურისა და ქვიშხეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის საინფორმაციო-შემეცნებითი ღონისძიებას.

- 21 მაისს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმს ესტუმრა. საქართველოს პრემიერ მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი.

-. 22 მაისს ქვიშხეთის კულტურის სახლთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მთაწმინდამ“ ღონისძიება გამართა.

- 30 მაისს საქართველოს ქალთა საბჭომ დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი მადლიერების სიგელით დააჯილდოვა.

- 11 ივნისს უმასპინძლეს ხაშურის დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის IV კლასის მოსწავლეებს, (კლასის ხელმძღვანელი ნონა ხრიკაძე). რომლებმაც განახორციელეს პროექტი- “რა ვიცოდით, რა გავიგეთ და რისი მიღება გვინდა”.

- 14 ივნისს, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახელობის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს ღონისძიება „დიმიტრი ყიფიანი და ქვიშხეთი“. (კლასის ხელმძღვანელი იამზე მურმანიშვილი).

-15 ივნისს, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში, სასწავლო წლის ბოლო გაკვეთილი ჩაატარეს სურამის 4 საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეებმა. - 15 ივლისს გაიხსნა ტაკეჰიდე ჰარადას ნამუშევრების გამოფენა „წმინდა ფიროსმანი“.

- 20 ივლისს, მუზეუმს ესტუმრნენ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თანამშრომლები პაატა იმნაძესთან და ამირან გამყრელიძესთან ერთად. გაიმართა საუბარი პანდემიის გამოწვევისა და მისი შედეგების შესახებ.

- 26 ივლისს, მუზეუმს ეწვია ტელეჟურნალისტი ნაზი სარჯველაძე, რომელმაც, თანამშრომლების ჩაწერით, სატელევიზიო გადაცემა მოამზადა დიმიტრი ყიფიანის შესახებ. - 29 ივლისს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმს და ზოგადად, ქვიშხეთს ესტუმრა იმედის ჟურნალისტი ნიკოლოზ წულუკიძე. მოხდა ჩაწერა.

- 6 აგვისტოს მუზეუმს ესტუმრა მხატვარი არსენ გომარელი და საჩუქრად გადასცა ტილო „დიმიტრი ყიფიანი“

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულდა სახვადასხვა სამუშაო სამუზეუმო საქმიანობის თითქმის ყველა მიმართულებით. მიმდინარეობდა გომის საცავიდან ახალ ფონდსაცავში არქეოლოგიური მასალის გადატანა, ექსპონატებს ჩაუტარდა ფიზიკური დასუფთავება და დეზინფექცია, კოლექციების მიხედვით განლაგდა შესაბამის თაროებზე;

- სამუზეუმო მასალით დახმარება გავუწიეთ მოსწავლე-ახალგაზრდობას, დოქტორანტებს და სხვებს;

- გომის ბაზიდან მუზეუმის ახალ ფონდსაცავში არქეოლოგიური მასალის გადმოტანაში დიდ დახმარებას გვიწევდა „ხაშურსერვისის'' ხელმძღვანელობა, პირადად ნ. ცხოვრებაძე.

მუზეუმის ბიბლიოთეკა შეივსო ახალი წიგნებით. დამუშავდა ბიბლიოთეკისათვის გადაცემული გასული საუკუნის 80-90 -იანი წლების პრესა, მათ შორის ე.წ. არაფორმალური ორგანიზაციების თვითგამოცემები. აგრეთვე ხაშურის სინამდვილეში განხორციელებული გამოცემები, რომლებიც დღეს იშვიათობას წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში, დასაბეჭდად მომზადდა სერიის - „ისტორიული საგვარეულოები ხაშურის მუნიციპალიტეტში'',მე-5 წიგნი,„ხიდერბიგიშვილები'' ამ სერიით მომზადებულია კომპიუტერული ვერსია მურვანიშვილებისა და აბაშიძეების საგვარეულოების შესახებ.

-გამოიცა 2020 და 2021 წელს გამართული რესპუბლიკური კონფერენციების მასალები „დიმიტრი ყიფიანი და საქართველო'' და „იაკობი და საქართველო''.

-მომზადებულია შრომები: „თეატრალური ხაშური'', „სურამი'' „სურამის წარსულიდან (განათლება და კულტურა)'' და სხვა. მომზადდა ნიკო ყიფიანის თხზულებათა კრებული (თ.ლაცაბიძე) პეტრე კაპანაძის ..მოგონებები ბელადზე'', ნ. ორბელიანის „ რუისის სამწყსოს დავთარი'', „ულუმბა'' და სხვა.

მ. ხაჩიძემ მოამზადა ნაშრომი „ქართველი მწერლები ხაშურის მუნიციპალიტეტში (XIX - XXI ს.ს)''. - დამთავრებულია ნაშრომი 1818 წლის კამერალური აღწერა ხაშურის რაიონში (დ. ხაჩიძე)

გამოიცა „მასალები ხაშურის მოსახლეობის ისტორიისათვის (1886 წლის საოჯახო სიები).'' მომზადებულია გამოსაცემად. 1873 წლის კამერალური აღწერის მასალები.

მ. მთვარელიძემ მოამზადა ნაშრომი „სიტყვიერების მასწავლებლები'', რომელიც ეხება რაიონის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს. საანგარიშო პერიოდში, გაერთიანების თანამშრომლები (მ.ლობჟანიძე, მ. ხაჩიძე, დ. ჩადუნელი და სხვები) სისტემატურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ პრესაში და გამოცემებში.

2022 წლის 26 მაისისათვის, მუზეუმში მოეწყო გამოფენა „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და ხაშური''. მზადდება გამოფენა „რკინიგზა ხაშურში- 150 წელი''.

ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი კლარა გელაშვილი აქტიურად მუშაობს რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდის პროექტში „ყიფიანები და განათლება''. მანვე მოამზადა გამოსაცემად ნინო ყიფიანის ,მოთხრობები და წერილები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კაპიტალურ რემონტს საჭიროებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა. ამის გამო არის, რომ მუზეუმში არ გვაქვს სტაციონალური გამოფენა, რაც მნიშვნელოვნად აისახება მუზეუმის მუშაობაზე. გამოვთქვამთ რწმენას, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გულთან მიიტანს მდგომარეობას და დაინტერესდება სამუზეუმო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებით. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ გვაქვს დიმიტრი ყიფიანის რეაბილიტირებული მუზეუმი. მალე მწყობრში ჩადგება ლესია-უკრაინკას მუზეუმი. ჯერი ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმზეც უნდა მიდგეს.

უნდა აღინიშნოს, რომ სექტემბერ-ოქტომბერში გარე სარემონტო სამუშაოები განხორციელდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მუზეუმმა იცვალა იერ-სახე და ჩაეწერა ქალაქის ცენტრალურ მოედანში. ეს ფაქტი უფრო მეტად ხდის შიდა სარემონტო სამუშაოების საჭიროებას.

თ. ლაცაბიძე,

ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი

წიფის გვირაბის უცნობი ისტორია - ვინ იყო მთავარი მშენებელი და რატომ გავრცელდა ჭორი მის თვითმკვლელობაზე

ვინ იცის, დასავლეთისკენ მატარებლით მგზავრობისას, წიფის გვირაბში რამდენჯერ გაგვივლია, მაგრამ ცოტა თუ დავფიქრებულვართ იმაზე, რა სირთულეები და სამუშაოები უძღოდა ამ გვირაბის გაყვანას.

საქართველოში გვირაბმშენებლობის განვითარება დენის გამოგონებამ დააჩქარა, გეოდეზიის განვითარებაც დაეხმარა, რითაც ორი მხრიდან გრძელი გვირაბის ერთდროული გაყვანის საკითხიც გადაიჭრა.

პირველი სარკინიგზო გვირაბის აგებით,სურამის ქედის ქვეშ მიმოსვლითი გზის ისტორიაში სერიოზული ეტაპი დაიწყო. მისი გაჭრა რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული: 1883 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ამიერკავკასიის რკინიგზა, რომელმაც შეაერთა კასპიის ნავთობის რეგიონი შავ ზღვასთან და გზა გაუხსნა მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ რკინიგზის ნორმალურ ფუნქციონირებას ხელს უშლიდა სურამის ქედი, რის გამოც გადაწყდა გვირაბის აგება. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ფერდინანდ რიძევსკი. სამუშოები 1886 წლის 31 დეკემბერს დაიწყო და 1890 წლამდე გაგრძელდა.

როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის საგზაო დეპარტამენტის ხიდებისა და გვირაბების კათედრის პროფესორი მარინა გრძელიშვილი გვეუბნება, როდესაც გვირაბი გაიხსნა, ორივე მხრიდან გაყვანილის შეპირაპირება შესაშური სიზუსტით მოხდა.

მდგომარეობა მშენებლობამდე

რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ნათელი იყო, რომ მაგისტრალზე ე.წ. "ვიწრო ადგილი" იყო ზესტაფონი-მიხაილოვოს (ახლანდელი ხაშური) უბანი, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა მოძრაობის გაზრდილ მოთხოვნებს. რკინიგზის საუღელტეხილო უბანი სადგურ ყვირილადან 59 ვერსის მანძილზე გადიოდა სურამის ქედის მდინარე ჩხერიმელას ვიწრო და ღრმა ხეობაში, გაივლიდა ციცაბო მონაკვეთს სადგურ ბეჯათუბანთან, რომელიც განლაგებული იყო ზღვის დონიდან 1798 მეტრის სიმაღლეზე. იქედან რკინგზა 95 ვერსის მანძილზე მდინარე წიფას ხეობაში შედიოდა და სადგურ ფონამდე (ზღვის დონიდან 3.327 ფუტის სიმაღლეზე) ადიოდა, საიდანაც სურამის უღელტეხილის გავლით, სადგურ სურამში მცირე ქანობის გავლით, მდინარე მტკვრის ხეობის ვაკეზე, სადგურ მიხაილოვოში გაივლიდა. იქიდან კი ურთულესი მონაკვეთი იყო მატარებლის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. მოძრაობის სიჩქარე შეზღუდული იყო, გამოიყენებოდა ორმაგი წევა. დაღმართზე უნდა ამუშავებულიყო ყველა სამუხრუჭე საშუალება, უზრუნველყოფილიყო მოძრაობის აუცილებელი სიჩქარე.

ნიკო ნიკოლაძის როლი

ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც რკინიგზის აქციონერთა საზოგადოებაში მუშაობდა. ნიკოლაძემ საუღელტეხილო უბნის გადაკეთების შესახებ იდეა წამოაყენა. კვლევის შედეგად, პეტერბურგში, რკინიგზის ინსპექციის კომიტეტში, ინჟინერ მიშენკოვმა ინჟინერ სტატკოვსკის მეთვალყურეობით პროექტის 4 ვარიანტი შეადგინა, მაგრამ მათი განხილვა უშედეგოდ დამთავრდა. შემდეგ მიშენკოვს დაევალა, შეედგინა რკინიგზის სურამის უბნის ახალი პროექტი.

ნიკო ნიკოლაძე წერდა, რომ ინჟინერ მიშენკოვის პროექტი ტექნიკურად სწორია და არჩეული ტრასა შეიძლება, რეკონსტრუქციის საფუძვლად ავიღოთ. წარადგინა მოხსენებითი ბარათიც, რომლითაც ახალ ვარიანტს სთავაზობდა - ეს იყო გვირაბის აშენება.

1884 წლის დეკემბერში, ამიერკავკასიის რკინიგზის დავალებით, ნიკოლაძემ წერილით მიმართა რუსეთის მიმოსვლის გზათა სამინისტროს რკინიგზის დეპარტამენტს, სადაც ითხოვდა, ნება დაერთოთ, ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოებისთვის ჩატარებულიყო კვლევა-ძიების რეკონსტრუქციის სამუშაოები საუღელტეხილო უბანზე. თხოვნას სამშენებლო ფირმის ხელმძღვანელის ინჟინერ ბუნცეს პროექტი ერთვოდა, რომლის მიხედვითაც, გზა ნაკლებად რთული პროფილით გადიოდა. შესაბამისი განხილვის შემდეგ, მიიღეს ნებართვა, სადგურ მოლითის საუღელტეხილო უბნის პროექტირებაზე, რაც 25 კმ-იან უბანს შეადგენდა, ოთხკილომეტრიანი გვირაბით.

1886 წელს 9 ივლისს შეთანხმებული პროექტი დამტკიცდა. ხაზი იწყებოდა სადგურ მიხაილოვოდან, გვირაბით გადიოდა სურამის ქედში და უერთდებოდა ძირითად ხაზს სადგურ მოლითთან.

მშენებლობას ხელმძღვანელობდა გამოცდილი ინჟინერი რაძიევსკი, ხაზის აღმოსავლეთის მშენებლობას ინჟინერი პოლიტკოვსკი, ხოლო დასავლეთისას - ინჟინერი სიმბერგი.

სირთულეები

წინასწარმა გეოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ მშენებლობას ბევრი სირთულე ექნებოდა. რაძიევსკი და მისი კოლეგები აპირებდნენ,გამოეყენებინათ ავსტრიის, ბელგიის და შვეიცარის გვირაბმშენებლობაში მიღებული მეთოდები.

გვირაბის გაყვანა უნდა დაწყებულიყო ქედის ორივე მხრიდან, ხოლო მანამდე სპეციალისტებმა ჩაატარეს დიდი მოცულობის საფუძვლიანი გეოლოგიური და გეოდეზიური კვლევა-ძიების სამუშაოები გვირაბის ზუსტი მიმართულების განსაზღვრის მიზნით. გვირაბის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილები აღნიშნულ ტერიტორიაზე მჭიდროდ დასახლებულ ადგილებად გადაიქცა. მშენებლობაზე დასაქმებული იყო 2000-ზე მეტი მუშახელი - გამოცდილი და კვალიფიკაციის სპეციალისტები, საჭირო კონტიგენტის ადგილობრივებით დაკომპლექტება შეუძლებელ იყო. ამიტომ, ამფეთქებლები, მბურღავები და სხვადასხვა სპეციალისტი ჩამოყავდათ რუსეთიდან, ავსტრიიდან და შვეიცარიიდან, რომლებსაც ალპებში ჰქონდათ გამოცდილება მიღებული. სამუშაოები თავიდან ხელით დაიწყეს, მაგრამ გაყვანის პირობების გართულებასთან ერთად, გადაწყდა, გამოყენებულიყო პნევმატური საბურღი დანადგარები,თუმცა დაშლილი ქანების გატანა მაინც ხელით ხდებოდა. დააყენეს წყლის ტუმბოები, ვენტილატორები გრუნტის წყლების არიდებისა და გვირაბის განიავებისთვის. გვირაბის სიგრძის ზრდასთან ერთად, დაიგო ვიწრო ლიანდაგიანი გზა ცხენის წევით, ქანების გადასატანად და სამშენებლო მასალების შესაზიდად.

სამუშაოები ორ ცვლად მიმდინარეობდა, თითოეულის ხანგრძლივობა 12 საათი იყო. გვირაბის გეოლოგიური პირობები მრავალფეროვანი გახლდათ, რაც ადამიანებისთვის სამუშაო პირობებს ართულებდა.

ჩაღრმავებასთან ერთად,მუშაობა გვირაბში სულ უფრო რთული და სახიფათო ხდებოდა. წყლიანი ფენების გახსნისას,გვირაბში მოდიოდა 900.000 სათლი წყალი დღე-ღამის განმავლობაში და მუშები მკერდამდე წყალში იყვნენ. გაბურღული ადგილებიდან მხუთავი გაზი ჟონავდა, რომელიც ფარნებთან შეხებისას ხშირად აფეთქებას იწვევდა,რასაც ადამიანები ეწირებოდნენ. ვენტილატორების მუშაობის მიუხედავად, სანგარში ტემპერატურა 50 გრადუსს აღწევდა. ამ სირთულეების ფონზე, მშენებლობა გრაფიკის მიხედვით მიდიოდა.

პარლელურად გაჰყავდათ რკინიგზის ხაზიც. სადგურ მიხაილოვოს მხრიდან რკინიგზის მშენებლობა 1886 წელს დაიწყო და 1887 წლის ოქტომბერში დამთავრდა. მაგრამ სამუშაოები რკინიგზის გასაყვანად, გვირაბის მშენებლობის დამთავრების შემდეგაც მიდიოდა.

მცდელობის მიუხედავად, გადაკვეთის დანიშნულ დროზე განხორციელება ვერ მოხერხდა. ამის შედეგად 11 ოქტომბერს, იმპერატორის ვიზიტმა მოსალოდნელზე ნაკლები პომპეზურობით ჩაიარა და მიუხედვადა იმისა, რომ 12 ოქტომბერს დილის 7 საათზე შემხვედრი სანგრები შეერთდა, რაძიევსკი უსიამოვნებებს მაინც ვერ გადაურჩა.

შემხვედრი გვირაბების ღერძები, ჰორიზონტალურ სიბრტყეში, ერთმანეთს 128 მმ-ით დაშორდა, ხოლო ვერტიკალურში - მხოლოდ 43 მმ-ით, რაც გაცილებით ნაკლები იყო დასაშვებ სიდიდეებზე.

....

კომისიამ დეტალურად განიხილა პროექტი და მიზანშეწონილად ჩათვალა მისი ექსპლუატაციაში გაშვება. გვირაბის გახსნის საბოლოო დღედ 1890 წლის 16 სექტემბერი გამოცხადდა. სადგურ წიფაში ხალხმრავლობა იყო. მოვიდნენ მიმოსვლის გზათა მინისტრი - პოსეტი, კავკასიის მთავარმართებელი, გენერალ-ადიუტანტი შერემეტიევი, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ და სხვა პირები.

ამ დღისთვის, მთავრობის გადაწყვეტილებით, დამზადდა სამახსოვრო მედალი და დასავლეთის პორტალთან მთის ფერდობზე დაიდგა ობელისკი. სურამის სარკინიგზო-საუღელტეხილო გვირაბის სიგრძე 3 ვერსი და 374 საჟენი იყო. გვირაბის მშენებლობაზე დაიხარჯა 80.000 კასრი ცემენტი, 4.000 კუბური საჟენი სილა, 10.000 ფუთი დინამიტი, 700.000 კუბური საჟენი სამაგრი და საყალიბე ხე-ტყის მასალა.

გვირაბში დამონტაჟებული იყო ელექტროზარიანი სიგნალიზაცია. სიგნალიზაციის ასეთი სისტემა საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა. 1890 წლის სექტემბრის ბოლოდან მგზავრობისა და ტვირთების მოძრაობა ამიერკავკასიის რკინიგზაზე გაიზარდა და რაც მნიშვნელოვანი იყო, იგი ნავთობის მაგისტრალი გახდა.

მშენებლობასთან დაკავშირებით ფართოდ იყო გავრცელებული მოგონილი ამბავი, თითქოს შემხვედრი სანგრევების დაგვიანების გამო მშენებლობის უფროსმა რაძიევსკიმ სირცხვილისა და პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით,თავი მოიკლა,რადგან ჩათვალა,რომ გაანგარიშებაში შეცდა, თუმცა, სულ მოკლე დროის შემდეგ, სანგრევები გასაოცარი სიზუსტით შეერთდა... მართლია, სანგრების შეერთება ცოტათი დაგვიანდა დადგენილ ვადასთან შედარებით, მაგრამ ჭორი ალბათ უკავშირდებოდა 1888 წლის 12 ოქტომბერს ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოების დირექტორის ალეინიკოვის თვითმკვლელობას, რომელიც შემჩნეული იყო ფინანსურ მაქინაციებში. თუმცა ამ საქმესთან ინჟინერ რაძიევსკის არავითარი შეხება არ ჰქონია.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.